ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში ევროპული უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი სტიპენდიების კანდიდატების შერჩევა.

2. კანდიდატები და სტიპენდიატები

კანდიდატები შეირჩევიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს ელექტრონულ სააპლიკაციო სისტემაში (mobility.tsu.ge) საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა

ა)კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. შემოთავაზებული სამუშაო გეგმის გავლენა მშობლიური ფაკულტეტის აკადემიური/ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებაზე (0-10)
2. მობილობის შესაძლო გავლენა მშობლიურ და მიმღებ უსდ-ებს შორის არსებული ინსტიტუციონალური კავშირების გაძლიერებაზე (0-15)
3. მობილობის განხორციელების მოტივაცია (0-10)
4. კომპეტენცია რელევანტურ უცხო ენაში (0-10)
5. საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის ახალი აპლიკანტი / ევროკავშირის მ იერ დაფინანსებულ პროგრამებში გამოცდილების არ მქონე (0-5)

4. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.